

საბა

№03(207)

მარტი

2013

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

„უფლის წინაშე ჩემი
სინდისის არაერთგზის
გამოცდის შემდეგ,
მიუვლი დასკვნამდე,
რომ ხანდაზმულობის
მიზეზით, ჩემი ძალები
აღარ არის საკმარისი
ჰეტრესუთული
მისიის სათანადოდ
შესასრულებლად“.

ბენედიქტე XVI



მადლობა, წმიდა მამაო – ბენედიქტე XVI



ძვირფასო ძმებო,

ამ კონსისტორიუმზე მოგინვიეთ არა მხოლოდ სამი კანონიზაციის აღსასრულებლად, არამედ აგრეთვე ეკლესიის ცხოვრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ამბის საცნობებლად.

უფლის წინაშე ჩემი სინდისის არაერთგზის გამოცდის შემდეგ, მივედი დასკვნამდე, რომ ხანდაზმულობის მიზეზით, ჩემი ძალები აღარ არის საკმარისი პეტრესეული მისიის სათანადოდ შესასრულებლად.

მტკიცედ მწამს, რომ ეს მისია, მისი სულიერი არსიდან გამომდინარე, უნდა აღსრულდეს არა მხოლოდ სიტყვებითა და ქმედებებით, არამედ არანაკლებად – განცდისა და ლოცვის მეშვეობით. თუმცა დღეს, როცა სამყარო სწრაფ ცვლილებებს განიცდის და მოცულია მღელვარებით რწმენისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე

ნე საკითხთა გამო, წმიდა პეტრეს ნავის მართვა და სახარების გამოცხადება მოითხოვს როგორც სულის, ისე სხეულის სიმბნევებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ თვეებში ჩემი სხეული იმდენად დაძაბუნდა, რომ აღარ შემწევს უნარი, კარგად შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა.

ამგვარად, ვაცნობიერებ ჩემი ქმედების სერიოზულობას, და სრულიად თავისუფლად ვაცხადებ უარს რომის ეპისკოპოსის, წმიდა პეტრეს მემკვიდრის თანამდებობაზე, რომელიც კარდინალმა 2005 წლის 19 აპრილს მომანდეს. 2013 წლის 28 თებერვლის 20 საათიდან რომის ეპისკოპოსის, წმიდა პეტრეს მემკვიდრის პოსტი იქნება ვაკანტური და საჭიროა, კომპეტენტურმა პირებმა მოიწვიონ კონკლავი ახალი უმაღლესი პონტიფექსის ასარჩევად.

ძვირფასო ძმებო, გულითად მადლობას გიხდით სიყვარულისა და შრომისთვის, რომელიც ჩააქსოვეთ ჩემთან ერთად ჩემი მსახურების შესამსუბუქებლად და გთხოვთ ყველა ჩემი ნაკლის მიტევებას. შეგავედროთ წმიდა ეკლესია უზენაეს მოძღვარს, უფალ იესო ქრისტეს, და შევთხოვოთ მის წმიდა დედას, მარიამს, დედობრივი სიკეთით შეეწიოს კარდინალებს ახალი პაპის არჩევისას.

ხოლო მე მომავალშიც ვისურვებ, მთელი გულით ვემსახურო, ლოცვის მეშვეობით, ღვთის წმიდა ეკლესიას.

ბენედიქტე XVI
ვატიკანი,
2013 წლის 10 თებერვალი

ამ სიტყვებმა მცირე ხანში მოიარეს მთელი მსოფლიო. „პაპი გადადგა!“ „არა, ეს შეუძლებელია, ხუმრობაა!“ „მართლაც გადადგა!“

ცხადია, პაპს შეუძლია გადადგომა, კანონი ამის უფლებას იძლევა, თუმცა ისტორიას ისე ცოტა ახსოვს ამგვარი ფაქტი, რომ ეს თითქმის შეუძლებელი გვეჩვენებოდა. თანაც, ვინ ელოდა, რომ მსგავს ნაბიჯს ბენედიქტე XVI გადადგამდა? მაშინვე დაისვა შეკითხვები, გახშირდა სხვადასხვა თეორია, ინტერპრეტაცია. არა! ეს გადაწყვეტილება არ არის განპირობებული ფარული დინებებით, ან სასახლის ინტრიგებითა და ტყუილებით.

ვფიქრობ, საკმარისია მხოლოდ წმიდა მამის ეს სიტყვები წავიკითხოთ: „უფლის წინაშე ჩემი სინდისის არაერთგზის გამოცდის შემდეგ, მივედი დასკვნამდე, რომ ხანდაზმულობის მიზეზით, ჩემი ძალები



აღარ არის საკმარისი პეტრესეული მისიის სათანადოდ შესასრულებლად.“ ბენედიქტე XVI-მ გააკეთა არჩევანი ღვთის წინაშე, იმის შეგნებით, რომ მხოლოდ ღმერთი წარმართავს ისტორიას და, სიცოცხლის დასასრულს, მხოლოდ მის წინაშე ვართ პასუხისმგებელი ჩვენს გადაწყვეტილებებზე. პაპმა გააკეთა არჩევანი საყოველთაო ეკლესიის სიყვარულით და ეკლესიის სასიკეთოდ, მთელი პასუხისმგებლობით მისიაზე, რომელიც მას ღმერთმა მიანდო და მომავლისკენ მიჰყობილი მზერით.

მინდა დიდი და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბენედიქტე XVI-ს, რომელმაც ძლიერად შეგვძრა ამ ნიშნით; ის დროის იმ დიად ნიშანთა შორის მოექცევა, რომლებიც ჩვენმა ეკლესიამ უნდა წაიკითხოთ სიცოცხლის სიტყვის შუქზე, რომელიც უფლის წყალობით არ გვაკლია.

მადლობა მინდა ვუთხრა პაპს, რადგანაც მან შეგვახსენა, რომ ჩვენ ვართ ქმნილებები შემოქმედის წინაშე, მოწყვლადები და მუდამ გზაში მყოფნი. და, როცა ასაკისა და დაუძღურების მიზეზით, გზის დაძლევა გვიჭირს, სწორია ეკლესიის მართვის მინდობა მისთვის, ვინც მეტ სულიერ და ფიზიკურ ძალებს ფლობს. ამ შესტს მე განვიხილავ, როგორც ძლიერ ქადაგებას თავისუფლებაზე (რამდენი თავისუფლებაა ამ გადაწყვეტილებაში) და სიმდაბლეზე (რამდენ სასულიერო პირს, პოლიტიკოსს, საწარმოს ხელმძღვანელს არ ესმის თუ როდის არის საჭირო უკან დახევა და დაკავებული თანამდებობის განთავისუფლება, საკუთარი შეუცვლელი შესახებ ფიქრის გარეშე).

ამ დღეებში ხშირად ვფიქრობ წმიდა მამასთან ჩემ შეხვედრაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ შედგა. რაოდენ სასიხარულო და გასაკვირი იყო აღმოჩენა, რომ საჯარო შეხვედრებით შექმნილი ცივი პიროვნების შთაბეჭდილების მიღმა თბილი, მშობლიური,



გულუხვი და ყურადღებიანი ადამიანი იდგა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ ფაქტმა და სიყვარულით აღსავსე სულმა მიაღებინა პაპს ეს გადაწყვეტილება.

არ ვიცი, ვინ იქნება შემდეგი პაპი. პროგნოზების კეთება ამ დღეებში კომიკურიც კია. თუმცა, ვიცი, რომ წმიდა პეტრეს ნავი იმართება უფლის სულიწმიდის მიერ, რომელიც თავის ნათელსა და ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნას არ მოგვაკლებს. მსოფლიოში გაფანტულ მრავალ ადგილობრივ ეკლესიას თუ გადავხედავთ, ვიგრძნობთ, როგორ დაუარა მათ ჟრუანტელმა პაპის ამ შესტის წყალობით. შესაძლოა, უფალს სურდა, შეეხსენებინა ჩვენთვის ჩვენი, როგორც მორწმუნეების, პასუხისმგებლობა, სერიოზულად მოვეკიდოთ ჩვენდამი მონდობილ მსახურებას,

გავთავისუფლდეთ ნალექისგან, რომელსაც შეუძლია ჩვენი სულიერი ცხოვრების წახდენა, სიხალასითა და მზადყოფნით შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების წესი და ტრადიცია, როდესაც ვხედავთ, რომ ის მოძველდა; იმის შეგნებით, რომ დასასრულს, როცა დაგვესმება შეკითხვა იმედზე, რომელიც ჩვენს გულეებში სუფევს, მშვიდად ვთქვათ: „უბრალო მონები ვართ, რადგან ვაკეთებთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა!“

თითქმის ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ აღდგომის მომავალი დღესასწაულისთვის კათოლიკე ეკლესიას ახალი მწყემსი ეყოლება. ახლა ყველანი პასუხისმგებელი ვართ, მოვიხმოთ სულიწმიდა მათზე, ვინც კონკლავში მიიღებს მონაწილეობას.


უფალმა დაგვლოცოს!

ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაპოტო

ნათელი, უსსაკლო, ნაპღვილი ნიშნები

ნამდვილად ლამაზია საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის 2013 წლის კალენდარი, რომელიც ჩვენს სახლსაც ამშვენებს და რწმენის წელიწადში თანაზიარებაში გვაძოვებს მთელ კათოლიკე ეკლესიასთან, რომელიც წელს საზეიმოდ აღნიშნავს ვატიკანის II კრების გახსნიდან 50-ე წლისთავს! კალენდარს ლამაზი ფოტოები ამშვენებს: იმისათვის, რომ კალენდრის ფურცლებზე მოხვდეს, სულაც არ არის აუცილებელი ცნობადი სახე იყო; საკმარისია ადამიანთა მზერა, ცხოვრებისეული სიტუაციები, ... მორწმუნეებით სავსე ტაძრების ცოცხალი და ლამაზი სურათები; ამ კალენდარზე მოთავსებულია ერთი ძველი (დაახლოებით საუკუნის წინანდელი) სურათი, რომელზედაც, ღვთისმშობლის სახესთან ერთად, აღბეჭდილია უდეს კათოლიკური ეკლესია, რომელიც მალაი მთების ფონზე, სახლებს შორის წამომართულა. სურათი თებერვლის თვეს ამშვენებს, თვეს, რომელიც ასევე შეგვახსენებს, რომ ამ ბოლო ხანებში ეს ფოტო მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში; თვეს, რომელიც გვახსენებს, რომ „ვილაცამ“ ისურვა (თებერვალი ასევე შეგვახსენებს, რომ დიდმარხვა იწყება 13 რიცხვში, სწულთა დღე აღინიშნება 11-ში, ბერმონაზონთა დღე – 2-ში) დაიწყოს უდეს ეკლესიის გარეგნული მხარის გადაკეთება, რაც თითქმის სრულიად წაშლის კათოლიკეთა ისტორიის კვალს, რომელიც მის „კათოლიკურ იერსახეშია“ შემონახული; საინტერესოა უდეს ეკლესიის ისტორიის მოსმენა (თუკი ამის სურვილი ექნებათ, სრულიად ცალსახად და განუსჯელად) იმ ადამიანთა პირიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალი მონაწილე არიან იმისა, თუ როგორ და ვის მიერ იგებოდა ეს ეკლესია უდემი. ასევე საინტერესოა მისი უახლესი ისტორია, თუ როგორ იკრიბებოდნენ

სოფლის ხანდაზმული კათოლიკე ქალბატონები, – და არა მარტო ისინი, – და ლოცულობდნენ ეკლესიის მარცხენა ფრთაში, იქ, სადაც ერთად იყო მოგროვილი წმინდანთა ქანდაკებები (საინტერესოა, ამჟამად სად არის ეს ქანდაკებები?), მართლმადიდებლები კი ლოცულობდნენ ეკლესიის ცენტრში; როდესაც საქართველოში წმიდა საყდრის პირველმა ნუნცმა შეიტყო, რომ უდეს კათოლიკეებმა ძალით მოიპოვეს ეკლესიის ჭიშკრის გასაღებები და ხელახლა დაესაკუთრენ სხვების მიერ უკანონოდ წართმეულ ეკლესიას, კათოლიკე მოძღვარს, რომელიც კმაყოფილი ატარებდა „ბრძოლით მოპოვებულ“ ეკლესიის გასაღებს, ასე განუცხადა: „უკან დაუბრუნეთ, რადგანაც ასე არ უნდა მოვიქცეთ!“ მორჩილმა მღვდელმა უკან დააბრუნა გასაღები და კათოლიკეები კვლავ ეკლესიის გარეშე დარჩნენ; სხვებმა ამით ისარგებლეს და ახლაც სარგებლობენ! დღესაც ძნელი გასაგებია ნუნცის მაშინდელი გადაწყვეტილება. ცხადია, ამ გადაწყვეტილებით მას არ სურდა ხაზი გადაესვა ამ ეკლესიის ისტორიისთვის, ან იმის თქმა, რომ კათოლიკეებმა თავად მიხედეთ თქვენს თავსო, ან მართლმადიდებლები გახდითო. ეს ყესტი, ერთი მხრივ, მკაფიო პასუხი იყო იმისა, თუ როგორ აპირებდა კათოლიკე ეკლესია წართმეული ტაძრების გამო მოგვარებას, და როგორი იქნებოდა მისი დამოკიდებულება კათოლიკე მორწმუნეების, სოფლის ხელმძღვანელობისა თუ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხისმგებელი პირებისადმი. მეორე მხრივ, რა „მკაფიო ნიშანი“ შეინიშნება დღეს კათოლიკური ეკლესიისა და მისი მორწმუნეების მიმართ? რა თქმა უნდა, „მკაფიო ნიშნები“ შეიმჩნევა, მაგრამ ამ ნიშნების მიღება ნამდვილად გაუჭირდება კათოლიკე მორწმუნეს



და კათოლიკე ეკლესიას საქართველოში. გავისხენოთ თუნდაც გორის კათოლიკური ეკლესია, მთლიანად სახე-შეცვლილი; კათოლიკეებს, – და არა მხოლოდ მათ, – არ სურთ, რომ იგივე ბედი გაიზიაროს უდეს ეკლესიამაც. გავისხენოთ ანტიკათოლიკური პროპაგანდა გადანათვლის თაობაზე. საბედნიეროდ, კულტურის სამინისტროს მხრიდან რალაც „მკაფიო ნიშანი“ უკვე შეინიშნება; მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სამართლიან გადაწყვეტილებამდე მივიდეთ, რომელსაც უკვე ველარავინ უგულვებლყოფს; კიდევ სხვა მკაფიო ნიშნები უნდა წამოვიდეს და არა მარტო კათოლიკე ეკლესიის მხრიდან!

მკაფიო ნიშნები უნდა არსებობდეს ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაშიც; მოგიყვანთ ერთ პატარა ეპიზოდს: სტრასბურგში, ევროსაბჭოს შეხვედრაზე, განსახილველად წარმოდგენილი იყო თემა: „საქართველო და რუსეთი: ომისა და კონფლიქტის გამო დაზარალებული რეგიონის ჰუმანიტარული მდგომარეობა“; ერთმა შევედმა ქალბატონმა მშვენიერი მოხსენება მოამზადა; მანვე მოითხოვა, რომ მხარეებს, – გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში, – ეზრუნათ კონფლიქტური რეგიონის სკოლებში, საავადმყოფოებში, სახლებში... – ზავშთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მოკლედ, ეს სრულიად რეალისტური ხედვა იყო. ქალბატონი ნამყოფი იყო ამ მხარეში, მან მოინახულა გორთან ახლოს მდებარე, 2008 წლის ომის შედეგად განადგურებული სოფლები; კარგად იცოდა, რომ ქართველ დევნილებს თავიანთ სახლებში დაბრუნება არ შეეძლოთ, რადგან იქ ოსი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსებთან მეგობრობდნენ და რომლებმაც ქართველი ეროვნების ადამიანები თავიანთი საცხოვრებლებიდან გამოაძევეს. საშინელი სენია ნაციონალიზმი, რომელიც დედამიწას ეროვნულობისა თუ ეთნიკურობის ეკლიანი სამანით საზღვრავს. დისკუსიაში რუსი დეპუტატი კალაშნიკოვიც მონაწილეობდა. „მისი მოგვარის, კალაშნიკოვის ავტომატი მასთან შედარებით რბილი სალამურია“, – აღნიშნა ვილაცამ. რუსი დეპუტატის ნათქვამის აზრი მოკლედ შეიძლება ასე გადმოვცეთ: „ქართველები? ჭირსაც წაუღია მაგათი თავი; ისინი დამარცხდნენ, ახლა რალა უნდათ?“ ქართველებმაც არ დააყოვნეს და (ლამის) იგივე ტონით უპასუხეს (თუმცა, ძნელია კალაშნიკოვის შეედარო). აი, როგორი კომენტარი გააკეთა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, როდესაც ეს ჩართვა მოისმინა: „რუსებისა და ქართველების საურთიერთობა ენა გაუგებარია, მას ვერ გადათარგმნი. ეს ომით დაჭრილი პოლიტიკის ენაა, ომით, რომელიც ახლა უკვე სიტყვიერად გრძელდება. უნდა შეიცვალოს საურთიერთო ენა და მიმართონ საყოველთაო ენას, რომელიც იბადება იმ ხალხის თანაგრძობიდან, ვინც ყველაფერი დაკარგა. ამ ენის გარეშე, აზრი არა აქვს თვით ყველაზე დახვეწილ დიპლომატიურ და პოლიტიკურ ენას. თუკი თავმდაბლობას გამოვხატავთ ტანჯული კაცობრიობის წინაშე (სწორედ ეს არის კაცობრიობის მოვალეობის აზრი და უფლე-

ბა), იმ მინიმუმს გავაკეთებთ, რის გარეშეც ადამიანები ვერ იარსებებენ, მაგრამ დღეს მაქსიმუმია საჭირო იმისათვის, რომ ცხოვრების ისეთი პირობები შეიქმნას, რაც ყველანაირ კონსტრუქციულ დიალოგს შეუწყობს ხელს. მოკლედ, პოლიტიკამ უნდა აილოს ჰუმანიტარული მოვალეობა; ეს გადაარჩენს არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ თავად პოლიტიკასაც, ცხადია, თუ იგი ქედს მოიხრის ცალკეული ადამიანის წინაშე და ყველაფრის ცენტრში დააყენებს მას. სწორედ ამიტომ უნდა მივილოთ შვედი მომხსენებლის მარტივი თხოვნა: „ეს სულაც არ არის უტოპია, ეს რეალობის სიბრძნეა!“.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დასრულდეს ამ ქვეყანაში აშკარა ინსტიტუციური დაპირისპირებები: მთავრობა პრეზიდენტის წინააღმდეგ, პრეზიდენტი – მთავრობის...; ყველაფერი ეს დემოკრატიის, ამ ქვეყნის სიმშვიდისა და განვითარების ხარჯზე ხდება; ნუთუ პრიორიტეტულად უნდა იქცეს საკითხი იმის შესახებ, დარჩება პარლამენტი ქუთაისში, თუ ისევ თბილისს დაუბრუნდება?

ნიშნები არა მხოლოდ მკაფიო, არამედ რეალური და ნამდვილი უნდა იყოს. პაპი ბენედიქტე XVI-ე 2013 წლის დიდმარხვის მიმართვაში წერს: „ვერასოდეს შევძლებთ, ან უბრალოდ, ვერ დავუპირისპირდებით რწმენას და სიყვარულს“. ეს ორი თეოლოგიური თვისება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და გზასაცდენაა მათ შორის კონტრასტის დანახვა, ან მათი ერთმანეთისგან განცალკევება. ერთი მხრივ, მიუღებელია ისეთი ქმედება, როცა ძლიერი აქცენტი კეთდება რწმენის პრიორიტეტზე და იქვე კნინდება კონკრეტული საქველმოქმედო საქმეები და მცირდება ამ ჰუმანიტარული ხასიათი. მეორე მხრივ, ასევე მიუღებელია, იმდენად ზედმეტი უპირატესობა მივანიჭოთ საქველმოქმედო საქმიანობას, რომ ის რწმენის შემცვლელად ჩავთვალოთ. ჯანსაღი სულიერი ცხოვრებისათვის საჭიროა გავექცეთ როგორც ფიდეიზმს (მოძღვრება, რომელიც რელიგიას, რწმენას ანიჭებს უპირატესობას, მეცნიერულ ცოდნასთან შედარებით), ასევე აქტივიზმს. „რწმენა საქმეების გარეშე ისეთივეა, როგორც ხე ნაყოფის გარეშე“, ამიტომ რწმენა და ქველმოქმედება „ერთმანეთზეა გადაჯაჭვული“. რწმენის ნამდვილი ნაყოფი ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულია. „დიდმარხვა, ქრისტიანისთვის ჩვეული მითითებებით, გვიხმობს, რომ წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობით და ღვთის სიტყვის გულისხმიერი და ხანგრძლივი მოსმენის გზით, ვასაზრდოთ რწმენა და, ამავე დროს, გავიზარდოთ ქველ საქმეებში, ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულში, მარხვის, მონანიებისა და გულმონყალების კონკრეტული შესტებით“.

ნაყოფიერად გავიაროთ 2013 წლის სააღდგომო პერიოდი და მხურვალედ ვილოცოთ ახალი პაპისთვის, რომელსაც მალე აირჩევენ.

საკლესიო იერარქიები უწვიმისი პაპის შესახებ



მოკლე მოსაყდრეობის დროს, არამედ თავისი ხანგრძლივი საღმრთისმეტყველო მოღვაწეობითაც. ჩვენ, მართლმადიდებლები, მასში ჩვენი ეკლესიის მეგობარს, ერთობის ერთგულ მსახურს ვხედავთ“.

კულტურის კონდიციონალური საბჭოს თავმჯდომარე ჯანფრანკო რავაზი: „ბენედიქტე XVI-ის მოსაყდრეობა ძალზე ნაყოფიერი იყო ათეისტებთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან და მეცნიერებთან დიალოგის განვითარებისათვის. უწმიდესი პაპის ინიციატივა იყო „წარმართა მეტოქი“ – მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შეხვედრების ადგილი ევროპის სხვადასხვა ქალაქებში; ბოლო რვა წლის მანძილზე ვნახეთ ბევრი მაგალითი იმისა, რომ ეკლესია არა მხოლოდ ჭეშმარიტებას, არამედ მშვენიერებასაც მიაპყრობს მზერას; და ბოლოს, უწმიდესი პაპის ღვანლით, ახალ საფეხურზე გადავიდა რწმენასა და გონებას შორის დიალოგი“.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ოლაპ ვიკსა ტვიტი: „პატივი უნდა ვცეთ ბენედიქტე XVI-ის ამ გადაწყვეტილებას. აღფრთოვანებული ვარ ეკლესიისადმი მისი სიყვარულის ძალით, მისი პასუხისმგებლობით, რომლითაც ეკუმენურ მოძრაობას მიუდგა“.

ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, კენტარპარის მთავარეპისკოპოსი ჯასტინ უელზი:

„ბენედიქტე XVI საოცარი გამჭრიახობით საზღვრავდა თანამედროვეობის პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს გვიხსნიდა. ჩვენ ვაცნობიერებთ მისი მონუმენტის მნიშვნელობას და ლოცვით ვუერთდებით ჩვენს დებსა და ძმებს – კათოლიკეებს. ვილოცოთ, რომ უფალმა ჯანმრთელობა და სიმშვიდე მიმადლოს მას“.



მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი ილარიონი: „იგი დიდი ღმრთისმეტყველია, კარგად იცნობს მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციას და საოცრად ტაქტიანია, ამიტომ შეუძლია, სათანადო დონეზე წარმართოს დიალოგი მართლმადიდებელ ეკლესიებთან. მასმედიაში ხშირად აკრიტიკებენ ტრადიციონალიზმისა და კონსერვატიზმისთვის, მაგრამ სწორედ ამისთვის აფასებს მას მილიონობით ქრისტიანი, კათოლიკეები და სხვა კონფესიათა წარმომადგენლები, – ყველა, ვინც ტრადიციულ ქრისტიანულ ღირებულებათა შენარჩუნებას ცდილობს“.

ისრაელის აშკენაზთა მთავარი რაბინი იონა მეცბარი: „ჯანმრთელობასა და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ. მადლობას ვუხდით მშვიდობის დასამყარებლად განეული შრომისთვის და ინტერრელიგიური დიალოგის

ქრისტიანთა ერთობის კონდიციონალური საბჭოს თავმჯდომარე კარდინალი კურტ კოხი: „უწმიდესმა პაპმა ძალზე ბევრი რამ მოასწრო ამ რვა წლის განმავლობაში. ეკუმენური დიალოგი, რომელიც საგრძნობლად უფრო ღია გახდა მისი მოსაყდრეობის დროს და რომელიც ასე ძვირფასია მისთვის, გაგრძელდება. სხვა კონფესიების წარმომადგენლები გაგებთ შეხვდნენ ცნობას ბენედიქტე XVI-ის გადადგომის შესახებ და მადლიერებას გამოხატავენ მისი ღვანლისთვის ინტერკონფესიური დიალოგის განვითარებაში“.

კოჩის ეპისკოპოსთა კონფერენციის თავმჯდომარე, ეპისკოპოსი პიტარ კან უილი: „მან თავი მიუძღვნა ეკლესიის მსახურებას, ბევრი იღვანა ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში მშვიდობის დამყარებისათვის. ეს არის პაპი, რომელიც მზადაა დიალოგისთვის მთელ მსოფლიოსთან. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს ჩრდილო კორეელ ძმებზე ზრუნვისთვის. ჩვენ ვლოცულობთ მისთვის და გვინდა შევასხენოთ, რომ ჩვენი საყვარელი მოძღვარია“.

ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს წერილი ნათქვამია: „მადლობას გიძღვნი თქვენი გულუხვი მოძღვრობისთვის, თქვენი ეპისტოლეებისთვის, თქვენი ზრუნვისთვის, რომელიც ამ წლების მანძილზე არ მოგვეკლებია; გმადლობთ თქვენი დიდი რწმენისთვის, მონუმენტისთვის და იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელსაც ყოველთვის ავლენდით ეკლესიის მიმართ. იმედი გვაქვს, შევძლებთ ეკლესიის მსახურებას იმ რწმენითა და მონდომებით, როგორც თქვენ გვაჩვენეთ და გვასწავლეთ“.

პატრიარქი ბართლომე I: „პაპი ბენედიქტე XVI, თავისი სიბრძნითა და გამოცდილებით, კიდევ ბევრ რამეს შესძენდა ეკლესიასა და მსოფლიოს. მან წარუშლელი კვალი დატოვა კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებასა და ისტორიაში, – არა მხოლოდ თავისი ხან-



ხელშეწყობისათვის; მადლობას ვუხდით იმისთვის, რომ იუდეველთა და კათოლიკეთა დიალოგში თავისი წინამორბედის, იოანე პავლე II-ის სტრატეგიის ერთგული დარჩა; ბენედიქტე XVI-ს დიდი ღვანლი მიუძღვის ანტისემიტიზმთან ბრძოლაში; მისთვის ყოველთვის ძალზე ახლო იყო ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარების საკითხი“.

უწმიდესი პაპი ბენედიქტე XVI თავის მოსაყდრეობას 28 თებერვალს, საღამოს რვა საათზე დაასრულებს. „საკმაო ძალა აღარ მაქვს. დიდხანს ვილოცე და თავისუფალი ნებით გადავწყვიტე ასე ეკლესიის კეთილდღეობისთვის. ეკლესია ქრისტეს ეკუთვნის და დაუშვებელია, მას ზრუნვა დააკლდეს“, – ასე განმარტავს პონტიფი თავის გადაწყვეტილებას.

პიტერ ტარკსონი: ეკლესია მზადაა არაპროპელი პაპისთვის

„კათოლიკე ეკლესია აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მტკიცე და ძლიერია. აქ არიან ღირსეული მოძღვრები, რომელთაც წარმატებულად შეუძლიათ საეკლესიო სტრუქტურების მართვა. მე ვფიქრობ, რომ ეკლესია მზად არის არაპროპელი პაპისთვის“, – განაცხადა Associated Press-თან საუბრისას სამართლიანობისა და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭოს თავმჯდომარე, კარდინალმა პიტერ ტარკსონმა. მასმედიაში გავრცელებულ ცნობას, რომ კონკლავის გადაწყვეტილებით იგი თავად შეიძლება გახდეს პაპი, განელი კარდინალი ასე გამოეხმაურა: „თუკი ამას ღმერთი ინებებს“.

გარდაიცვალა კარდინალი გლეზი



23 იანვარს გარდაიცვალა ვარშავის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი იუზეფ გლეზი. „ყოველთვის მორჩილი იყო ღმრთისა, სიყვარულით აღსავსე უფლისა და ადამიანის მიმართ. ურთულეს ხანაში მოუხდა პოლონეთის

ეკლესიის მართვა და დაბრკოლებათა დაძლევისას სწორედ სიყვარულით ხელმძღვანელობდა; ძალზე დიდ გონიერებასა და მოთმინებას იჩენდა ურთულეს საკითხთა გადაჭრისას. სიცოცხლის დამლევს დიდი ტანჯვა იცემა, მაგრამ სულის სიმხნევე არ დაუკარგავს, სწეულეების გამოცდილებაც ღმრთის სიყვარულის მოწმეობად აქცია“, – აღნიშნა თავის სამძიმარში უწმიდესმა პაპმა ბენედიქტე XVI-მ.

პერნარ ფელი: „ჩვენ ვერ მივალნივით თანხმობას“

პიუს X-ის საძმოს მეთაური პერნარ ფელი გულისტვიკილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბენედიქტე XVI-ის მო-

საყდრეობისას ვერ მოხერხდა საძმოსა და წმიდა საყდარს შორის თანხმობის მიღწევა.

ლეფერისტიკების მეთაურის აზრით, ბენედიქტე XVI-ის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტია სამოციქულო ეპისტოლე Summorum pontificum.

შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებები პიუს X-ის საძმოს კათოლიკე ეკლესიის წიაღში დაბრუნების თაობაზე შეჩერებულია, რადგან საძმოს წევრები უარს ამბობენ ვატიკანის II კრების აქტების მიღებაზე.

მალტის ორდენი 900 წლისაა

900 წლის წინ, 1113 წლის 11 თებერვალს პაპ პასხალის II-ის დეკრეტით დაარსდა მალტის ორდენი. მსოფლიოს უძველესი რაინდული ორდენის დაარსების წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა მთავარ კათოლიკურ ტაძარში – წმიდა პეტრეს ბაზილიკაში. თავის მიმართვაში უწმიდესმა პაპმა მოუწოდა ცერემონიაზე შეკრებილ ორდენის წევრებს, არ დაივიწყონ თავისი დანიშნულება და ფესვები და კვლავაც



გააგრძელონ ლატაკთა და გაჭირვებულთა დახმარება. დღეისთვის მალტის ორდენი 13 000 წევრს ითვლის. მის მუშაობაში მონაწილეობას 80 000 მოხალისე და 25 000 ექიმი იღებს.

Femen პარიზის ღმრთისმშობლის ტაძარში

სკანდალური Femen თავისებურად გამოეხმაურა უწმიდესი პაპის გადაწყვეტილებას: 12 თებერვალს, დილით, მოძრაობის რამდენიმე აქტივისტმა, რომელთაც წელზევით მხოლოდ წარწერები „ამშვენება“ (pope no more, pope game over და ა.შ.), პარიზის ღმრთისმშობლის ტაძარში მათთვის ჩვეული ეპატაჟური წარმოდგენა გამართეს. დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა აქტივისტების მონაწილეები ტაძრიდან გააძევეს. „ჩვენ მოვანყვეთ ეს წარმოდგენა, რათა გვეზიმა პაპის გადადგომა ორშაბათს და ერთსქესიანი ქორწინების შესახებ კანონის მიღება – სამშაბათს“, – აცხადებს ერთი აქტივისტი. „მინდა, რომ პაპად ქალი აირჩიონ“, – ამბობს მეორე.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ვატიკანის II კრების 50 წლის იუბილე

დიდი ისტორიული მოვლენის კვლადკვლად

შინვედრა ვატიკანის II მსოფლიო კრების უშუალო მონაწილეთა

2012 წლის 11 ოქტომბერს რომის კათოლიკე ეკლესიამ საზეიმოდ აღნიშნა ვატიკანის II მსოფლიო კრების გახსნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია. ვატიკანის მეორე მსოფლიო კრება 1962 წელს მოიწვია პაპმა იოანე XXIII-მ, კრების მსვლელობამ ინტერვალებით 1965 წლამდე გასტანა და უკვე პაპ პავლე VI-ის პონტიფიკატობის დროს დასრულდა. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას საქართველოში მოქმედი ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია, საკრებულოები, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი და ჟურნალი „საბა“ ფართოდ გამოეხმაურენ. ამ იუბილეს ეგვიტით, კათოლიკური ეკლესიისა და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვევით, თბილისს სტუმრობდა ვატიკანის II კრების უშუალო მონაწილე, იტალიელი ეპისკოპოსი, მიუფე ლუიჯი ბეტაცი.



2013 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თბილისის საზოგადოებას საშუალება მიეცა, პირადად შეხვედროდა მსოფლიო ეპისკოპოსს და ისტორიული კრების უშუალო მონაწილისგან (უშუალო მონაწილეთაგან კი დღეისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ეპისკოპოსია ცოცხალი) მოესმინათ შთაბეჭდილებები იმ საეკლესიო კრების შესახებ, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა და განაახლა კათოლიკე ეკლესია.

შეხვედრა-სემინარი გახსნა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკური ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, რომელმაც, მცირე შესავლის შემდეგ, სიტყვა გადასცა მალაღყოვლადუსამღვდელოეს სტუმარს, მეუფე ლუიჯი ბეტაცი.

1962 წლისთვის მეუფე ლუიჯი ბეტაცი მწყემსმთავრობისათვის სრულიად ახალგაზრდა, 40 წლის ეპისკოპოსი გახლდათ. მას პატივი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ვატიკანის II კრების მუშაობაში.

მეუფე ლუიჯიმ მოკლედ გაიხსენა კრების მოწვევის წინაპირობა და დამსწრეთ შეახსენა დიდი პაპის, იოანე XXIII-ის ღვანლის შესახებ. „თუ პირველი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ეხებოდა მხოლოდ დოგმატურ საკითხებს, ვატიკანის II



კრება მიეძღვნა პასტორალურ პრობლემებს. ეს იყო პირველი შემთხვევა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, როცა ეკლესიამ მოიხედა საზოგადოებისაკენ, ხალხისაკენ“. შემდგომ მეუფე ბეტაციმ ვრცლად ისაუბრა ვატიკანის II კრებაზე მიღებული ოთხი კონსტიტუციის მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც კათოლიკე ეკლესიის განახლებას და ხალხთან კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყო ხელი. ამ კრებაზე დადგინდა, რომ მსახურება მრევლის მშობლიურ ენებზე უნდა წარმართულიყო, ხოლო სოციალური დოქტრინის განხორციელება გახდა პრიორიტეტი. ხაზი გაესვა შემდეგ საკითხებს: ეკლესიის შინაგანი განახლება, ეკლესიის მისიის, როგორც ქრისტეს უწყების, განახლება და ეკლესიის როლი და პასუხისმგებლობა ამქვეყნად.

„მე ახალგაზრდა ვარ, რადგან მუდამ ვიცვლები“, – განაცხადა 90 წლის ეპისკოპოსმა, რომელიც მართლაც საკმაოდ ენერგიულად და მხნედ გამოიყურება, და ამით პარალელი გაავლო ვატიკანის კრების ამოსავალ პრინციპთან, რომელიც ეკლესიის მუდმივ განახლებას გულისხმობს. „ჩემს გამოსვლას დავასრულებ ერთი ანდაზის სიტყვებით, განაცხადა შემდგომ ეპისკოპოსმა, როცა ვინმეს საჩვენებელ თითს მიუშვერ განკითხვის მიზნით, გახსოვდეს, რომ ამ დროს სამი თითი შენსკენ არის მოშვერილი, ხოლო ერთი მიმართულია ზეცისკენ.“

მოსხენების დასრულების შემდგომ, მეუფე ბეტაციმ უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს. პირველი კითხვა საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩმა დასვა, თანამედროვე სამყაროში გაეროს მისიის, როლისა და პერსპექტივის შესახებ, რაზეც ეპისკოპოსმა საკმაოდ ვრცელი, ამომწურავი და რეალისტური პასუხი გასცა. „რელიგიური ნიშნით წარსულში ყოველთვის იყო დაპირისპირებები, კათოლიკეები უპირისპირდებოდნენ მართლმადიდებლებს, პროტესტანტები კათოლიკეებს, ევროპაში 30 წელი გრძელდებოდა პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის ომი. ვატიკანის II კრებამ ბოლო მოუღო განხეთქილებას ქრისტიანულ ეკლესიებს შორის. მომავალში ალბათ მოხდება მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის მეტი დაახლოება. გაერო ამ პროცესში დიდ როლს ვერ ითამაშებს, თუ იქნება ასე არადემოკრატიული. არ არის სწორი, რომ მსოფლიოს ბედს რამდენიმე ქვეყანა წყვეტს, რომ გაეროში მხოლოდ ხუთ

სახელმწიფოს აქვს ვეტოს უფლება. ზესახელმწიფოები თავის სურვილს ახვევენ მსოფლიოს. ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ვეტოს გამოყენების უფლება. 1956 წელს, სუეცის კონფლიქტის დროს, როცა საფრანგეთსა და ბრიტანეთს სურდათ თავიანთი ჯარების შეყვანა ეგვიპტეში, გაერომ გამოიყენა თავისი უფლება, შეაჩერა დიდი ქვეყნები და თავისი სამშვიდობო ძალებით მოახერხა მდგომარეობის განმუხტვა.

იოანე XXIII გამორჩეული პაპი გახლდათ (მართლაც, საბჭოთა პრესაშიც, სადაც კათოლიკური ეკლესიისა და წმინდა საყდრის შესახებ ან ცუდი ინერებოდა, ან არაფერი, იოანე XXIII-ის შესახებ შედარებით თბილ ეპითეტებს არ იშურებდნენ, იმდენად დიდი იყო მისი ღვანლი მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაში. – ნ.ბ.).

ვატიკანის II კრების მსვლელობისას, მსოფლიოში წარმოქმნა დიდი პოლიტიკური კრიზისი, „ცივი ომის“ ცხელ წერტილად აღიარებული კარიბის, იგივე კუბის კრიზისის სახელწოდებით რომ არის ცნობილი, როცა ორი ლიდერის, კენედისა და ხრუშჩოვის მმართველობის დროს, ატომური ომის გაჩაღების საშიშროება ყველაზე რეალური გახდა. კრების მსვლელობის დროს, კენედიმ (სხვათა შორის, ჯ. კენედი ერთადერთი კათოლიკე აღმსარებლობის პრეზიდენტი იყო აშშ-ს ისტორიაში. – ნ.ბ.) პირადად დაურეკა და საქმის კურსში ჩააყენა იოანე XXIII, თუ რა საშიშროების წინაშე იყო მსოფლიო საბჭოთა ატომური ამბიციის გამო. მაშინ პაპმა მიმართა „მარადიულ ქალაქს და მსოფლიოს“ მოწოდებით: „არ გვსურს ომი, ჩვენ გვსურს მშვიდობა“. საბედნიეროდ, 1962 წელს ატომური ომის საფრთხე აცილებულ იქნა და ამ სიკეთეში, კენედისთან ერთად, იოანე XXIII-ის წვლილიც უნდა დავინახოთ. სამწუხაროდ, ასე აღარ ხდება ბოლო წლებში. ალბათ, მომავალში შეიარაღებული ძალები ეყოლება მხოლოდ გაეროს და ამ ძალებს ექნება მსოფლიო პოლიციის სტატუსი. გაერო შეასრულებს თავის ფუნქციას, როცა გახდება დემოკრატიული“.

შემდგომი კითხვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების ურთიერთობას შეეხო. „მე ძალიან მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ ამ დარბაზში ვხედავ ჩვენს ძმებს, მართლმადიდებლებს, – განაცხადა მეუფე ლუიჯი ბეტაციმ, – შემდგომ გაიხსენა ის ორმხრივი მეგობრული ურთიერთობები, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ჩამოყალიბდა ვატიკანის II კრების შემდგომ. შეეხო რა იოანე XXIII-ის დიდ გახსნილობას ეკლესიებთან დიალოგის თვალსაზრისით, მეუფე ბეტაციმ ხაზი გაუსვა პაპის განვლილ მწყემსმთავრულ გზას; იოანე XXIII, სანამ პაპად აირჩევდნენ, იყო კათოლიკური ეკლესიის მწყემსმთავარი კონსტანტინოპოლში, შემდეგ მსახურობდა ბულგარეთსა და საფრანგეთში, იგი კარგად იცნობდა სხვადასხვა ეკლესიათა პრობლემებს და კარგად გრძნობდა



და მათთან დიალოგის აუცილებლობას. „1999 წელს პაპმა იოანე-პავლე II-მ, გააზრებული ჰქონდა რა მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოების მნიშვნელობა, განაცხადა, რომ გადახედავდა პაპის უცოდველობის დოგმატსაც. მსოფლიო პატრიარქთან ერთობლივი ლოცვის დროს, პაპმა მრწამსი ფილიოკვეს გარეშე წარმოთქვა. კათოლიკური ეკლესია პრიორიტეტად თვლის მართლმადიდებლებთან ძმურ ურთიერთობას. სამწუხაროდ, ზოგი რომის პაპს განიხილავს, როგორც მეფეს, ასე იყო წარსულში, მაგრამ დიდი ხანია ასე აღარ არის, კათოლიკური ეკლესია მზად არის დიალოგისათვის.“

მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა მონაწილეობით შესაძლო მსოფლიო კრების ჩატარების სავარაუდო პერსპექტივასთან დაკავშირებით, მეუფე ბეტაციმ განაცხადა, რომ კათოლიკე ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიასთან განხეთქილების შემდეგ ატარებდა კრებებს, რომელთაც, ძველი ტრადიციისამებრ, უწოდებდა მსოფლიოს; ამ ეტაპზე მართლმადიდებლებთან ერთობლივი კრების ჩატარების პერსპექტივა არ არსებობს, რადგან მართლმადიდებელი ეკლესიები არიან ავტოკეფალურები და ისინი ერთ მეთაურს არ ემორჩილებიან, ამ ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის კი არსებობს განსხვავებული ხედვები და პოზიციები. ამიტომ ერთობლივ კრებაზე საუბარი ჯერ ძალიან ნადრევიანია.

თანამედროვე ეტაპზე, ახალგაზრდების ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ დასმულ შეკითხვაზე, მეუფე ლუიჯი ბეტაციმ განაცხადა: ცხადია, დიდი განსხვავებაა წინა ეპოქებს, თუნდაც ვატიკანის II კრების პერიოდსა და დღევანდელს შორის. დღეს საზოგადოებას მასმედია მართავს, ახალგაზრდებიც, სამწუხაროდ, მთლიანად მასმედიის გავლენის ქვეშ არიან. ტელევიზია, ინტერნეტი აყალიბებს მათ ცნობიერებას. რაზე კეთდება დღეს აქცენტები? დიდ ხმაურზე. როცა ხე ეცემა, ის გამოსცემს დიდ ხმას, და ეს ხმა ფარავს მთელი ტყის ხმას, ტყისა, რომელიც იზრდება. მასმედია ცდილობს, მხოლოდ დაცემული ხის ხმა წარმოაჩინოს და არა ხმა იმ ტყისა, რომელიც იზრდება. ეკლესიამ უნდა შეძლოს, თავისკენ შემოაბრუნოს ახალგაზრდობა და დაანახოს, რომ მთავარია არა ხმაური, არამედ ზრდა, განვითარება.

ვატიკანის II კრების დასრულების შემდეგ, ერთმა ჩემმა ნაცნობმა თეოლოგმა ბრძანა: რომ შეაფასო ვატიკანის კრების მნიშვნელობა, ამისათვის 50 წელი არის საჭიროო. ნახევარი საუკუნე უკვე გავიდა კრების მოწვევიდან, დროა, შევაფასოთ ამ კრების მნიშვნელობა, – განაცხადა შეხვედრის დასასრულს მეუფე ლუიჯიმ.

და მართლაც, დადგა დრო, კარგად გავაანალიზოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი, ისტორიული საეკლესიო კრების როლი თანამედროვე სამყაროსათვის. შეიძლება, ნახევარი საუკუნის შემდეგ, საზოგადოებამ კიდევ მრავალი სიკეთე დაინახოს ვატიკანის II კრების გადამწყვეტილებებში; ერთი უმთავრესი ჭეშმარიტება კი ალბათ ყოველთვის უცვლელი იქნება, მართლაც, მარადიული სწრაფვა განახლებისკენ ადამიანებს აძლევს ენერგიასაც, ძალასაც და სიკეთის კეთების სურვილსაც ალუძრავს. ამ განახლებისა და სიკეთის გარეშე კი რა იქნებოდა ეს სამყარო. კაცობრიობის მთელი ისტორია ხომ ამის ნათელი დასტურია.

ნუგზარ ბარდაველიძე

რწმენა და სიყვარული

ჩვენმა უნეტარესმა პაპმა ბენედიქტე მე-16-მ 2013 წელი რწმენის წლად გამოაცხადა. რწმენის კარი, რომელსაც ღმერთის საკრებულოში შევყავართ და იქ ყოფნის საშუალებას გვაძლევს, ჩვენთვის ყოველთვის ღიაა. ამ ზღურბლზე გადაბიჯება კი ჩვენს გულელებში ღვთის სიტყვის დაცვით შეგვიძლია, რაც თავისთავად კეთილი საქმის სურვილს და კეთებას გულისხმობს. არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს უხმაუროდ ცხოვრობენ, მაგრამ მათი სიჩუმე და მოკრძალებაც ციცილებით მეტია, ვიდრე ვინმეს ხმაურიანი ყოფა. ისინი თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით ამონებენ ქრისტიანულ ცხოვრებას. და ამას აკეთებენ ზნეობრივი სიკეთის შეგნებით, თავისუფალი ნებითა და სინდისით. ვფიქრობ, ოდნავადაც არ ვაჭარბებ, როცა ასეთ ადამიანებზე ფიქრისას, თვალწინ ჩვენი საკრებულოს წევრი – მშვენიერი ქალბატონი ნანა მიზანდარი მიდგას. იგი სიკეთეს და სიყვარულს, უკვე ათეულ წელზე მეტია, დიდი რუდუნებით ემსახურება. მის დანახვაზე ადამიანებს იმედი ეძლევათ, მაღლიერნი არიან, რადგან საკუთარი ოჯახის წევრად და მათი პრობლემების გამზიარებლად მიაჩნიათ. იციან, რომ თუ თავიანთ გასაჭირს ამ ქალბატონს გაანდობენ, უსახსროდ და უპოვრად არ დარჩებიან. მათ მოუსმენენ, გაუჩნდებათ სიტბო და საკვები, ნამალი და ჩასაცმელი და, რაც მთავარია, არ მოაკლდებათ იმედიანი სიტყვა, რომელიც არასდროს დაეღუფა ქვეყნის ქრისტიანს, თუ გულთან სხვის გასაჭირს ისე მიიტანს, როგორც საკუთარს.

ვფიქრობ, რამდენიმე შეკითხვა სრულად ვერ წარმოაჩენს ამ საინტერესო ადამიანის პიროვნებას, მაგრამ მაინც ვეცდები...

რას ნიშნავს თქვენთვის „კარიტასში“ მუშაობა და რა შესაძლებლობებს გაძლევთ იგი მოყვასის დასახმარებლად?

ამ კითხვას „კარიტასის“ წესდების მიხედვით ვუპასუხებ. მისი მიზანი საქველმოქმედო და გულმონყალე საქმეთა განხორციელებაა, რაც ხელს უწყობს ადამიანების სახარებისეული პრინციპებით აღზრდას. იგი იღვწის სამართლიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობის დასამყარებლად. „კარიტასის“ საქმიანობას კეთილი სამართლიანობის საქმიანობას შევადარებდი. „კარიტასი“ არ არის მხოლოდ ჰუმანიტარული, ან რაიმე კონკრეტული საზოგადოებრივი საქმიანობა, იგი მოყვასისადმი სიყვარულია და სათნოებით ნაკარნახევი ზრუნვაა.

საქართველოში კათოლიკე აღმსარებლობის ქრისტიანები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ ქველმოქმედებით, სიკეთის უშურველად კეთებით, ღარიბთა და უმწუთთა დახმარებით; ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამსახური ამ საქმით დაკავების საშუალებას მაძლევს. თუმცა მორწმუნე ადამიანს, სადაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია გაჭირვებულს ხელი არ გაუმართოს, რადგან იგი ყოველ ღატაკში, ავადმყოფში, პატიმარში იესოს ხედავს; მოყვასის სიყვარული ხომ ღვთის სიყვარულია.

ბიბლიაში ნათქვამია: შენმა მარჯვენამ არ უნდა იცოდეს, რას აკეთებს შენი მარცხენა...

დახმარება განსაკუთრებულ თავგანწირვას მოითხოვს. არის ლამაზი გამოთქმა: „მონყალე მუხლმოდრეკილმა უნდა მიიღო, და ასევე მუხლმოდრეკილმა უნდა გასცე.“

2013 წელი რწმენის წლად გამოცხადდა, როგორია მისი თქვენეული გაგება, და რა ზრდას მოელოთ ამ თვალსაზრისით საკრებულოს მხრივ?

საბედნიეროდ, ჩემი მშობლებისა და ჩემი თაობის პერიოდისგან განსხვავებით, დღეს რწმენის ტაძარი ყველასთვის ღიაა,



ნანა მიზანდარი (მარცხნიდან პირველი)

არავის უკრძალავენ წირვა-ლოცვებზე დასწრებას, საუფლო დღესასწაულთა საზეიმო აღნიშვნას, ეკლესიურად ცხოვრებას. ყველასთვის ხელმისაწვდომია წიგნები წმიდანთა ცხოვრების შესახებ. გვყავს მოძღვარი და მონაზვნები, რომელთაც ჩვენი სიხარული უხარიათ და ჩვენი პრობლემები აწუხებთ.

17 წლის წინ, როცა ეკლესიის მოძღვართან პირველი ზიარებისთვის კატეხიზაციის კურსი გავიარე, ჩემთვის ბევრ რამეს მოუფინა ნათელი, ბევრი რამ ვისწავლე და გავაცნობიერე, ახლაც დიდი ინტერესით ვესწრები საყოველთაო საშობაო და სააღდგომო კატეხიზაციებს.

ბიბლია მტკიცე რწმენის უამრავ მაგალითს გვაძლევს. იგი მარადიული ცხოვრების იმედაა. ჩვენი, როგორც მორწმუნეების საზრდო წირვა-ლოცვაში მონაწილეობა, წმინდა ევქარისტის მიღება, კატეხიზაციებში ზრდაა. მინდა გავისხენო ქალბატონ თინა კოკოჩაშვილის წერილი – „ჩვენი გულისტკივილი“, რომელიც ჟურნალ „საბას“ 2013 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა, სადაც ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს კატეხიზაციის მსმენელთა რიცხვის შემცირებას; მართლაც, კატეხიზაციის კურსის გავლის გარეშე, პირველი ზიარება – ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი – ქრისტიანისთვის ფორმალურ ხასიათს მიიღებს.

რა გამოცდილება მოგცათ „კარიტასში“ მუშაობის წლებმა და რა სურვილები და მოლოდინები გაქვთ ახალ 2013 წელს?

ძალზე ხშირად ვხვდები ოჯახებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან. მათ შესაძლებლობების ფარგლებში ვეხმარებით და არ მტოვებს განცდა... იმისა, დროულია თუ არა დახმარება? ხომ არ შეიძლება უფრო მეტი გაკეთდეს? ან უფრო ეფექტურად? და სწორედ მაშინ მაიმედებს ღმერთის უსაზღვრო სიკეთის რწმენა, რომ მას ყველა ადამიანი ერთნაირად უყვარს და გასაჭირში არ მიატოვებს.

ახალი წლისთვის კი ვისურვებდი ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, რომ საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებს დაგვიბრუნდეს ჩვენს წინაპართა მიერ აგებული ტაძრები.

ვისურვებ, არავინ იმყოფებოდეს გაჭირვების ზღვარს ქვემოთ და ყველა ადამიანი, რომელიც ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, ღირსეულად ცხოვრობდეს. ყველა ოჯახს ვუსურვებ მშვიდობას და ისეთ სიყვარულს, როგორც ახალ აღთქმაშია განმარტებული, რომელიც ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს.


ნიკო ჭლენტი

ინდულგენცია: ღვთის გულმონყალის უკვირვასესი საჩუქარი

კათოლიკე ეკლესია თანამედროვე ეპოქაშიც, განსაკუთრებით გამორჩეულ დღეებში, თავის მორწმუნეებს ღვთის გულმონყალის განცდის დიდ შესაძლებლობას აძლევს. ამ მხრივ, გამონაკლისი არც რწმენის წელიწადია, როცა ეკლესიის გადამწყვიტლებით მორწმუნეებზე უნდა გაიცეს ეს დიდი წყალობა. ჩვენი ეპისკოპოსის ჯუზეპე პაზოტოს წერილში, რომელიც ქრისტე – სამყაროს მეფის დღესასწაულზე (25. 11. 2012) იქნა წაკითხული ყველა ჩვენს საკრებულოში, საუბარი იყო რწმენის წელიწადზე და რაბათის ეკლესია მოხსენიებული იყო, როგორც მომლოცველობისა და ინდულგენციის მისაღები ადგილი. წინამდებარე სტატიით გვინდა გავაცნოთ რამდენიმე მოსაზრება ინდულგენციის შესახებ; ზოგი მათგანი იურიდიულ-კანონიკური ხასიათისაა, ზოგიც უფრო მაგალითებით გაჯერებული. ამით გვინდა, უფრო ნათელი

წარმოდგენა შეგიქმნათ იმაზე, თუ როგორ უნდა გავიადვილოთ რწმენის წელიწადში სრულყოფილებისაკენ მიმავალი რწმენის გზა. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორაა დაკნინებული დღევანდელ თაობაში თავად ინდულგენციის არსი და მისი გაცემის მნიშვნელობა! საქვეყნოდ აღიარებულია წარსულში დაშვებული შეცდომები, რამაც დააკნინა ინდულგენციის ჭეშმარიტი არსი. თუმცა ბევრი უსამშობლოდ შეთნილი ადამიანით გრძნობს თავს ინდულგენციის წინაშე, ან სულაც ფიქრობს, რომ ცოდვების აღიარებასა და მიტევების მიღების შემდეგ, ღვთის

თვალში ყველაფერი ნაშლილი და დაფინყებულია. რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე 2000 წელს საზეიმოდ გაიხსნებოდა წმიდა წელიწადი, იოანე პავლე II-მ განაცხადა: „ამჟამინდელ ეკუმენურ კონტექსტში, ეკლესია გრძნობს მოთხოვნილებას, რომ ეს ძველთაძველი პრაქტიკა, რომელიც ღვთის გულმონყალის უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა, კარგად იყოს გააზრებული და მიღებული“.



რაბათი

ინდულგენციის ისტორია

იმისათვის რომ ინდულგენციაზე საუბარი სწორად წარიმართოს, პირველ რიგში, უნდა გავისხენოთ, – თუნდაც მოკლედ, – ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილებისა და აღსარების პრაქტიკა: ეპოქიდან ეპოქას გადაეცემოდა შემრიგებლობის გარკვეული ფორმა; დროთა მსვლელობაში რამდენიმე ტრადიცია დაიკარგა; ზოგიც შემოინახა, ზოგსაც ახალი დაემატა და აღსარების საკრამენტული ტრადიციიდან საინტერესო ერთობლიობა შეიქმნა. სწორედ ამან წარმოშვა ზოგიერთ ასპექტში გაუგებრობა. ერთ-ერთი ასეთია ინდულგენციის ტრადიცია; თუკი ამას დაემატება უარყოფითი ასპექტები, – არა მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ეს ეკლესიისთვის იყო მისაღები რაღაც პერიოდში, არამედ თუ როგორ ვრცელდებოდა მის შესახებ ინფორმაცია, – კიდევ უფრო რთული გასაგები გახდება ინდულგენციის კათოლიკური სწავლების მნიშვნელობა. მისი ისტორია შეიძლება

ოთხ პერიოდად დაიყოს. პირველ პერიოდში, რომელიც მოიცავს სამოციქულო ერას ვიდრე VIII ს-მდე, აღსარების წმიდა საიდუმლო, როგორც მას უწოდებდნენ პირველი ქრისტიანები, გარკვეულად მეორე ნათლობისთვისებებს ატარებდა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მაშინ როცა ნათლობისას ადამიანს სრულად მიეტევებოდა ყველა ცოდვა მონაწილების გარეშე. აღსარების საიდუმლო მონაწილების ხანგრძლივ და მომქანცველ გზას გულისხმობდა, რომელსაც ისეთი მძიმე ცოდვების მიტევებამდე გადიოდნენ, როგორც იყო ნათლობის შემდეგ ჩადენილი მკვლელობა, მრუშობა, აპოსტაზია. მომნაწიებელი ადამიანი ან ეკლესიის გარეთ უნდა დამდგარიყო, ან ეკლესიაში, სულ უკან, საკურთხევისგან მოშორებით, მდუმარედ მლოცველი, რათა მიეღო ცოდვების მიტევება და სპეტაკი სამოსელი, როგორც ეს იგავშია, სადაც ისე გამოარჩევს ღმერთი ადამი-

თორმეტი შაბათი წმიდა მარიაშის შესახებ

3. როგორ არის მარიაში ქალწული დედა?

მარიაში ქალწული იყო იესოს დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდგომ, – ესაა მარიაშის მარადქალწულობის კათოლიკური მოძღვრება. ხარების სასწაულებრივი მოვლენის შედეგად სული წმიდა ეწვია მარიაშს. იგი განაყოფიერდა და მან მუცლით ატარა თავისი ძე, რომელსაც იესო დაერქვა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს საიდუმლოა, ამავე დროს, სრულიად ლოგიკურია ამ თეოლოგიური თვალსაზრისის მიღება. საიდუმლო ღმრთაებრივი ჭეშმარიტებაა, რომელიც გამოცხადდება, მაგრამ სრულად არ აიხსნება. მთავარი მიზეზი, რის გამოც მისი ახსნა შეუძლებელია, ენაა. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ღმრთაებრივ ჭეშმარიტებათა შესახებ, რომლებიც თავიანთი არსით უსასრულოა, მათ ასახსნელად ჩვენს ხელთ გვაქვს ენა, რომელიც თავისი არსით სასრულია. თავისთავად ფაქტი, რომ ის სასრულია, განაპირობებს შეზღუდვას. ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ღმრთაებრივი ჭეშმარიტებანი მხოლოდ ანალოგიების მეშვეობით, – და სწორედ ამ შეზღუდულობის გამო.

ჩვენი შეზღუდვები ანუ ლიმიტები სრულიადაც არ აკნინებს ქალწულებრივი შობის თეოლოგიურ ფაქტს. თავის მხრივ, ნიკეის მრწამსი საგანგებოდ ადასტურებს ქრისტეს წარმოშობას. მრწამსის წარმოთქმისას ვამბობთ, რომ მრწამს „ერთი უფალი იესო ქრისტი, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი“. მარიაში გახდა იარაღი, საშუალება, რომელშიც სულმა წმიდამ განახორციელა იესოს ხორცშესხმა. უწმიდესი სამების მეორე პირი, რომელიც მარად არსებობს პირველ და მესამე პირთან ერთად, ხორცს შეიძენს ქალწული მარიაშისაგან. რაკი არავითარი ადამიანური ძალა არ ჩარეულა

თქვნი საკრებულოს წინაშე არსებულ პრობლემებზე

ჩვენი საკრებულო მრავალეროვანია და ამაში ჩანს კათოლიკური ეკლესიის სიძლიერე, რომელიც დაფუძნებულია ღმრთის სწავლებაზე: გვიყვარდეს ერთმანეთი და გვიყვარდეს ღვთის მიერ შექმნილი ყოველი არსება. კათოლიკური სოფლებისგან განსხვავებით, ბათუმში მორწმუნე კათოლიკეები კომპაქტურად არ არიან დასახლებულნი; ჩვენი მოძღვარი, მამა გაბრიელე ბრატანტინი მხოლოდ საკვირაო და სადღესასწაულო წირვების ჩასატარებლად ჩამოდის ბათუმში. მას უამრავი საეკლესიო საქმე აქვს მოსაგვარებელი: იგი პასუხისმგებელია დასავლეთ საქართველოს საკრებულოების საქმიანობაზე, ხელმძღვანელობს კულტურისა და ეკუმენურ საბჭოს, ჟურნალ „საბას“ რედაქციას; კითხულობს ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში, მონაწილეობს კონფერენციებში, სემინარებში და ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაში. ღვთის განსაკვირვებელი განგებულებით, მას ჰყოფნის ძალა და ენერჯია ყველა ამ საქმის გასაძღოლად.

ბათუმელი კათოლიკეები თითქმის მხოლოდ საკვირაო წირვაზე ვხვდებით ერთმანეთს. დაძაბული ცხოვრების რიტმი, ყოველდღიური პრობლემები მოქმედებენ ადამიანთა სულიერ განწყობაზე. ეს ალბათ საერთო პრობლემაა. მოგეხსენებათ, რწმენის ნალვერდალს თუ დროზე არ შეუკეთე, ცეცხლი მიინავლება. სამწყსო საბჭოს სხდომებზე ხშირად ვმსჯელობთ იმ მიზეზებზე, რის გამოც მორწმუნეები შორდებიან ეკლესიის წიაღს. ეკლესიის გარეშე არ ხდება რწმენის განმტკიცება. როდესაც მორწმუნე შორდება ეკლესიას, თანდათან კარგავს რწმენასაც.

ხანშიშესული ადამიანები ტრადიციულად, გარკვეული ინტერვალებით, მაგრამ მაინც დადიან საკვირაო წირვებზე, რასაც ვერ ვიტყვით ახალგაზრდებზე. ღვთის შეწვევითა და იტალიელ მორწმუნეთა დახმარებით, როდესაც აშენდა და იკურთხა ჩვენი ეკლესია, ჩვენს მრევლში საკმაო რაოდენობით იყვნენ ბავშვები. შემდეგ, როდესაც ისინი წამოიზარდნენ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მათი უმრავლესობა ჩამოშორდა ეკლესიას. ეს უკვე სერიოზული პრობლემაა და საჭიროა ამ მიზეზების ღრმა ანალიზი და მისი აღმოფხვრა. მით უმეტეს, მსგავსი პრობლემა ანუხებს თითქმის ყველა საკრებულოს.

როდესაც სამწყსო საბჭოში პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ვმსჯელობდით, გამოიკვეთა, რომ წლების მანძილზე სტაბილურად არ მიმდინარეობდა ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი კატეხიზაცია, დაინტერესება. ჩვენს საკრებულოში მხოლოდ ბავშვებთან ტარდება კატეხიზაცია. გარკვეული ასაკის შემდეგ,

ისინი რჩებიან ყურადღების გარეშე, თანამედროვე ცხოვრების ორომტრიალში ებმებიან და თანდათან შორდებიან ეკლესიის წიაღს. საკრებულოში არ არსებობს ახალგაზრდული საბჭო, მაგრამ შეიძლება, სამრევლო საბჭოში შეგვეყვანა აქტიური ახალგაზრდა, რომელიც იკისრებდა ლიდერის როლს. მისი მეშვეობით ხშირი კონტაქტი გვექნებოდა ჩვენს ახალგაზრდებთან, ისინი უფრო მეტად იქნებოდნენ ჩართულნი საკრებულოს ცხოვრებაში, მეტი შეხება ექნებოდათ ერთმანეთთან და ეკლესიასთანაც.

დღევანდელი ახალგაზრდები თავიანთი ფსიქიკითა და შეხედულებებით ძლიერ განსხვავდებიან წინა თაობებისგან. ჩვენმა თაობამ მორწმუნე ბებია-ბაბუებისა და მშობლებისაგან ტრადიციულად მივიღეთ კათოლიკური რწმენა და შემდეგ ჩვენი მოძღვრების მეშვეობით განვიმტკიცეთ ის. ახალგაზრდების შემთხვევაში ასე არ არის. ისინი შედარებით თავისუფალ ხანაში დაიბადნენ და მათთვის ტრადიციებს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. ისინი ახლის ძიებაში არიან. სწორედ ამ დროს ესაჭიროებათ მათ მოძღვარი, დამრიგებელი, რომელსაც ისინი ენდობიან და რომელიც მათ დაანახვებს ღვთის სწავლების ჭეშმარიტებას. ვფიქრობ, საჭიროა მათთვის დავალებების მიცემა, რათა იგრძნონ პასუხისმგებლობა, იგრძნონ, რომ ისინი საჭირონი არიან, რომ მათ წინადადებებს ყურადღებას აქცევენ და თავიანთი შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილება და სიხარული შეიგრძნონ. ალბათ, სხვანაირი მიდგომაა საჭირო დღევანდელ ახალგაზრდებთან. ამაზე სერიოზულად უნდა იმსჯელონ საკრებულოებში.

ახალგაზრდებზე ასევე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საპატრიარქოს ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ გავრცელებული სხვადასხვა ნეგატიური, ყოველგვარ სიმაართელესა და საფუძველს მოკლებული ინფორმაციები კათოლიკე ეკლესიისა და რწმენის შესახებ. ახალგაზრდები პირდაპირ მოითხოვენ, ადეკვატური პასუხი გავცეთ მათ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან კათოლიკე ღვთისმსახური თავს უფლებას არ მისცემს, მათ მსგავსად მოიქცეს. ეს ქრისტიანულ სწავლებასა და მორალს ეწინააღმდეგება.

ვფიქრობ, სერიოზული მსჯელობა და მოქმედება გვმართებს, რათა ჩვენს საკრებულოებში და, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, გაიზარდოს ღვთის რწმენა და სიყვარული.

ყოველმა მორწმუნემ უნდა გაითავისოს, რომ რწმენა უპირველესად ღვთის ნიჭია, რომელიც ეთანხმება მას, რაც ადამიანის გულშია. რწმენა გამოდის გულის სიჩუმიდან. სიჩუმის ნაყოფი არის ლოცვა, ლოცვის ნაყოფი არის რწმენა, რწმენის ნაყოფი კი სიყვარულია. მსახურების ნაყოფი არის მშვიდობა. ამრიგად, რწმენა ეს უფლის გამოცხადებაა. ღმერთი იხსნება ჩვენთვის, მოდის ყველა ჩვენთაგანთან სულიწმიდის მეშვეობით, ჩვენ ვეზიარებით მას. მაშ, მზად ვიყოთ ამისათვის და გულის კარი მუდამ ღია გვქონდეს უფლის მისაღებად.

თინათინ პარამაძის ინიციატივით
ბათუმი

ამ ჩასახვაში, მარიაშის ქალწულობა დარჩა ხელუხლებელი.

წმიდა იოსები იყო იესოს მეურვე, მარიაშის მეუღლე, წმიდა ოჯახის მცველი. ეკლესიის მოძღვრების თანახმად, წმიდა მარიაშა და წმიდა იოსებს შორის წამდვილი ქორწინება სუფევდა, მაგრამ ის არ მოიცავდა ხორციელ განზომილებას. ერთადერთი მითითება წმიდა წერილში იესოს ნათესავეების შესახებ გამოიხატება სიტყვით „ადელფოი“, რომელიც ძმის გარდა, აგრეთვე, ნიშნავს ბიძას, ძმიშვილ-დიშვილს, ან ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილს. ბიბლია მოგვითხრობს (დაბადება 11:27), რომ აბრამი იყო ძმა ლოტის მამისა, რაც ნიშნავს, რომ იგი მისი ბიძა იყო. ძველ ებრაულს და ძველ ბერძნულს არ ჰქონდა საგანგებო სიტყვა ამ ცნებების გამოსახატავად. სიტყვა „ძმა“ იმავე მნიშვნელობას ატარებდა, რასაც დღეს სიტყვა „ნათესავი“ აღნიშნავს. წმიდა წერილში ისიცაა ნათქვამი (დაბადება 14:12, 16), რომ ლოთი აბრამის „ძმა“ იყო („აჩ“ ებრაულად და „ადელფოს“ ბერძნულად). როდესაც წმიდა წერილის თანამედროვე თარგმანებს ვკითხულობთ, იქ აღნიშნულია, რომ იესოს ჰყავდა „ძმები“, მაგრამ ისინი წამდვილად არ არიან მარიაშის ძენი. ადვილად შეგვიძლია მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ეს სიტყვა უმჯობესი იქნება ითარგმნოს, როგორც „ნათესავი“ ან „ბიძაშვილ“-“მამიდაშვილ“-“დეიდაშვილი“.

არ არსებობს არავითარი დადასტურება, რომ იესოს ჯვრის ქვეშ მარიაშთან ერთად იესოს და-ძმათაგან ვინმე იდგა. რაკი ამ შემთხვევაში მარიაშის ნათესავი ქალები მოხსენიებული არიან, სავარაუდოა, რომ მახარებელს აღენიშნა მარიაშის შვილებიც, თავ-თავიანთი სახელებით, თუკი ისინიც იქ იდგნენ. რაკი წმიდა წერილი ამის შესახებ დუმს, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მარიაშს იესოს გარდა, სხვა შვილები არ ჰყოლია. ამდენად, მარიაში იყო ქალწული იესოს, მისი მხოლოდშობილი ძის, დაბადებამდე, დაბადებისას და დაბადების შემდეგ.

მასალა მოამზადა
მერაბ ლაღანიძემ

მადლონბა, წმიდა მამაო – ბენედიქტე XVI

